



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეხუთე სექცია

საქმე - “კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი №36416/06)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2019 წლის 14 მარტი

საბოლოო გახდა

14/06/2019

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.



COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

საქმეზე კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ანგელიკა ნუსბერგერი, თავმჯდომარე,

იონკო გროზევი,

ანდრე პოტოკი,

მარტინშ მიტსი,

გაბრიელე კუცსკო- სტადლმაიერი,

ლეთიფ ჰუსეინოვი,

ლადო ჭანტურია, მოსამართლეები,

და კლაუდია ვესტერდიკი, სექციის განმწესრიგებელი,

2019 წლის 12 თებერვლის დახურული თათბირის შემდეგ,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი არჩილ კობიაშვილის („მომჩივანი“) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად 2006 წლის 21 აგვისტოს სასამართლოში შეტანილი საჩივარი (№ 36416/06) საქართველოს წინააღმდეგ.

2. მომჩივანს წარმოადგენდნენ ქ-ნი ლ. მუხაშაგვრია და ბ-ნი ვ. ვახტანგიძე, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობენ თბილისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ყველაზე ბოლოს, ბ-ნი ლ. მესხორაძე.

3. მომჩივანი დავობდა, რომ მისი სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება იყო უსამართლო, რადგან მისი მსჯავრდება ეფუძნებოდა ყალბ („ჩადებულ“) მტკიცებულებას.

4. საჩივრის შესახებ მთავრობას ეცნობა 2008 წლის 10 იანვარს.

5. 2013 წლის 5 ივნისს, მას შემდეგ, რაც მხარეებმა სასამართლოს წარუდგინეს საკუთარი არგუმენტები მისაღებობასთან და საქმის არსებით გარემოებებთან დაკავშირებით, მომჩივნის წარმომადგენელმა, ბ-ნმა ვ. ვახტანგიძემ, სასამართლოს აცნობა, რომ მას აღარ შეეძლო მომჩივნის წარმომადგენლობა სასამართლოს წინაშე.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

6. მომჩივანი დაიბადა 1973 წელს და ცხოვრობს თბილისში.

7. 2002 წლის 7 ნოემბერს მომჩივანს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოლიციის თანამშრომლისთვის წინააღმდეგობის გაწვევისათვის.

A. მომჩივნის პირადი ჩხრეკა და დაკავება

8. 2004 წლის 4 ივლისს, პოლიციის თანამშრომელმა, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების („რაიონის პოლიციის სამმართველო“) უფროსმა გადაუდებელი აუცილებლობის გამო გასცა მომჩივნის პირადი ჩხრეკის შესახებ ბრძანება. შესაბამისი დადგენილების თანახმად, მომჩივნის მიმართ არსებულ მოკვლევას მასალებზე დაყრდნობით, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკული საშუალებების ფლობასა და მოხმარებაში, პოლიციის თანამშრომელმა გადაწყვიტა, *inter alia*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის („სსსკ“) 290-ე, 321-ე და 325-ე მუხლების საფუძველზე (როგორც მითითებულია 37-ე პარაგრაფში ქვემოთ), ჩატარებინა მომჩივნის პირადი ჩხრეკა ნებისმიერი უკანონო ნივთიერების ამოღების მიზნით. დადგენილება ძირითადად შედგებოდა წინასწარ დაბეჭდილი სტანდარტული ფრაზებისგან და მომჩივნის სახელი და გვარი ჩაწერილი იყო ხელით, აღნიშნული იყო, რომ ის ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობაში. ის ხელმოწერილი იყო თავად პოლიციის თანამშრომლისა და რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსის მიერ.

9. მოვლენათა განვითარების ოფიციალური ვერსიის თანახმად, დაახლოებით საღამოს 5 საათსა და 20 წუთზე, იმავე დღეს, როდესაც მომჩივანი თავის ორ მეგობართან ერთად შედიოდა საბილიარდოში, მას დაუძახა საბილიარდოს მოპირდაპირედ გაჩერებულ მანქანაში მყოფმა პოლიციის ორმა თანამშრომელმა. მომჩივანი მიუახლოვდა მათ. ამის შემდეგ მოხდა მომჩივნის ჩხრეკა, ამისთვის პოლიციას მოსამართლის ბრძანება არ ჰქონდა.

პირადი ჩხრეკის შესახებ ოქმში, რომელიც მომზადდა ჩხრეკის შემდეგ პოლიციის სამმართველოში აღნიშნული იყო, რომ:

“... იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა საკმაო საფუძველი ეჭვისთვის, რომ დაკავებული პირი აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულება (*ნარკოტიკული ნივთიერება ჰერონი*), ჩავატარეთ ეჭვის ნიადაგზე [1973 წელს დაბადებული არჩილ ჯუღელის ძე კობიაშვილის, მცხოვრები...] პირადი ჩხრეკა.“

ოქმში დამატებით აღნიშნული იყო, რომ ჩხრეკის დაწყებამდე მომჩივანს ეთხოვა „ეჩვენებინა თუ სად ინახავდა ჰერონის“. მომჩივანმა მიუთითა „შარვლის ჯიბეზე, რომელშიც მას ედო თეთრ ქალაღდში გახვეული ჰერონი“. შედეგად აღმოჩენილი იქნა ყვითელი ფერის ფხვნილი. ორმა დამსწრე მოწმემ ბ-ნმა უ. ქ.-მ და ბ-ნმა ლ. ც.-მ, ასევე, პოლიციის თანამშრომელმა შ. შ.-მ ხელი მოაწერეს პირადი ჩხრეკის ოქმს. მომჩივანმა უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე. ჩხრეკა გაგრძელდა საღამოს 5 საათისა და 20 წუთიდან საღამოს 5 საათსა და 45 წუთამდე.

10. მომჩივანი ოფიციალურად დაკავებულ იქნა საღამოს 6 საათისთვის, უკანონო ნარკოტიკული ნივთიერება ჰერონის ფლობის ეჭვის საფუძველზე. მან კვლავ უარი განაცხადა დაკავების ოქმის ხელმოწერაზე.

11. როგორც აღმოჩნდა, იმავე დღეს (დოკუმენტი დათარიღებული არ არის), შესაბამისი რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსმა მოამზადა ოქმი თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორისთვის და აცნობა მას 2004 წლის 4 ივლისს, საღამოს 5 საათსა და 45 წუთზე ჩატარებული მომჩივანის პირადი ჩხრეკის შესახებ. წერილის თანახმად, შესაბამისი საგამომიებო ზომები იქნა მიღებული გადაუდებელი გარემოებებით გამოწვეულ ვითარებაში, მოსამართლის ბრძანების არარსებობის პირობებში და სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყებამდე. პოლიციის თანამშრომელმა თხოვნით მიმართა პროკურორს, მიემართა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოსათვის ჩხრეკის *post-factum* კანონიერად ცნობის თაობაზე.

12. საგამომიებო მასალების მიხედვით, იმავე დღეს, 2004 წლის 4 ივლისს, ზემოთ ხსენებულ მიმართვაზე დაყრდნობით, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორმა მიმართა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს 2004 წლის 4 ივლისს ჩატარებული ჩხრეკის, რომელიც მისი მტკიცებით გადაუდებელი

იყო, კანონიერად ცნობისათვის. მოთხოვნაში უბრალოდ მითითებული იყო დაკავების ადგილი, ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ნივთიერება და დანაშაული, რომელშიც ეჭვმიტანილი იყო მომჩივანი. სსსკ-ის 290-ე მუხლისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის 7 (4), 8 და 9 მუხლებზე მითითებით, პროკურორმა თხოვნით მიმართა სასამართლოს ჩხრეკის კანონიერად ცნობისათვის. მოთხოვნის გასამყარებლად, პროკურორმა დაურთო სამი დოკუმენტი. პირველი დოკუმენტი იყო თანამშრომელ შ. შ.-ს ხელნაწერი წერილი, რომლის მიხედვითაც, „ოპერატიულ ინფორმაციაზე“ დაყრდნობით მის მიერ ჩატარდა ჩხრეკა, პოლიციის თანამშრომელ ნ. ო.-სა და მძღოლის, პოლიციის თანამშრომელ მ. ც.-სთან ერთად და ჩხრეკის მოწმეების თანდასწრებით, მომჩივანს აღმოაჩნდა ჰეროინი. ამ წერილში, პოლიციის პირადი ჩხრეკის ოქმის საწინააღმდეგოდ (იხილეთ პარაგრაფი 9 ზემოთ) აღნიშნული იყო, რომ დაკავების მომენტისთვის მომჩივანი იმყოფებოდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ.

13. მეორე დოკუმენტი იყო ლ. ც.-ს - ჩხრეკის ერთ-ერთი დამსწრე მოწმის ხელნაწერი ბარათი. წერილში ის აცხადებდა, რომ ქუჩაში სეირნობის დროს მას მიუახლოვდა პოლიციის თანამშრომელი და სთხოვა, რომ დასწრებოდა პირად ჩხრეკას. მან დაადასტურა, რომ ნივთიერება აღმოჩენილი იქნა მომჩივანის ჯინსის მარჯვენა უკანა ჯიბეში და, რომ მომჩივანმა განაცხადა, რომ ნივთიერება მას ეკუთვნოდა. სასამართლოსთვის წარდგენილი მესამე დოკუმენტი იყო ჩხრეკის სხვა დამსწრე მოწმის, უ. ქ.-ს ხელნაწერი წერილი, რომელიც მოკლედ აღწერდა მომჩივანის პირადი ჩხრეკის გარემოებებს, რომლებიც იდენტური იყო ლ. ც.-ს მიერ აღწერილი გარემოებებისა.

14. საქმის მასალების თანახმად, პროკურორის მიერ სასამართლოსთვის პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ მოთხოვნა, არ შეიცავდა არც გადაუდებელი აუცილებლობის დროს გაცემული ჩხრეკის შესახებ დადგენილების ასლს და არც მომჩივანთან დაკავშირებული მოკვლევის მასალებს (იხილეთ პარაგრაფი 8 ზემოთ). ასევე, აღმოჩნდა, რომ სასამართლოსთვის მიწოდებულ საქმის მასალებში არ იყო პოლიციის მიერ შედგენილი პირადი ჩხრეკის შესახებ ოქმი (იხილეთ პარაგრაფი 9 ზემოთ).

15. 2004 წლის 5 ივლისს სასამართლომ განიხილა მოთხოვნა და პროკურატურის მიერ მიწოდებული დოკუმენტები სსსკ-ს 290-ე და 293-ე მუხლების შესაბამისად და ჩხრეკა ცნო კანონიერად. მან დაასკვნა:

“შევამოწმე რა შუამდგომლობის დასაბუთებულობა, [სასამართლო] თვლის], რომ მომჩივნის მიმართ პირადი ჩხრეკა ჩატარებულია გადაუდებელი აუცილებლობის გამო, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და მის დასაკმაყოფილებლად კანონიერი საფუძველი არსებობს..”

პროცედურა ჩატარდა წერილობით და მომჩივანს არ მიეცა უფლება წარედგინა საკუთარი მოსაზრებები ჩხრეკის გარემოებებთან დაკავშირებით. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ის არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.

16. დაუზუსტებელ თარიღში, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 (ა) ნაწილის შესაბამისად, მომჩივანს ოფიციალურად დაედო ბრალი დიდი რაოდენობით ნარკოტიკების შეძენასა და შენახვაში.

17. 5 აგვისტოს, განმეორებით დაიკითხა ორი დამსწრე მოწმე. მათ გაიმეორეს თავდაპირველი ჩვენებები, უფრო დეტალურად აღწერეს მომჩივნის ჩხრეკის გარემოებები. 2004 წლის 7 აგვისტოს, თანამშრომელმა შ. შ.-მ, რომელიც დაიკითხა როგორც მოწმე, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის პოლიციის ორ ოფიცერთან, ნ. ო.-სთან და მ. ც.-სთან ერთად მოქმედებდა ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამ ინფორმაციის თანახმად, საბილიარდოს მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა პიროვნება ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.

18. 2004 წლის 26 აგვისტოს, საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებულმა სასამართლო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ჩხრეკის დროს ამოღებული ნივთიერება იყო 0.059 გრამი ჰეროინი. დამატებით, 2004 წლის 27 აგვისტოს, ნარკოლოგიურმა შემოწმებამ აჩვენა, რომ მომჩივანი არ იყო ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, თუმცა მას ესაჭიროებოდა „პრევენციული მკურნალობა“.

19. გამოძიების პროცესში მომჩივანი ინარჩუნებდა დუმილს.

B. მომჩივნის მსჯავრდება

20. 2004 წლის 10 დეკემბერს, გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ დაიწყო მომჩივნის საქმის განხილვა. მომჩივანმა

აღწერა მოვლენები, რომლებიც განვითარდა საბილიარდოს წინ და თავი არ მიიჩნია დამნაშავედ. მან განაცხადა, რომ არ გაუჩხრეკიათ დაკავებამდე ან დაკავების შემდეგ, და რომ მისგან სავარაუდოდ ამოღებული ნივთიერება ეკუთვნოდა პოლიციას. მომჩივანმა განმარტა, რომ პოლიციამ ის წაიყვანა პოლიციის განყოფილებაში, სადაც მათ „მოხარშეს“ ნარკოტიკის (ოპიუმის) ინექცია და იძულებით გაუკეთეს მას. ამის შემდეგ, ის წაიყვანეს ნარკოლოგიურ კლინიკაში შესამოწმებლად.

21. 2004 წლის 21 დეკემბერს, სასამართლოში დაიკითხა ერთ-ერთი დამსწრე მოწმე - უ. ქ.. მან განაცხადა, რომ ის 2004 წლის 4 ივლისს მომჩივნის ჩხრეკას არ დასწრებია, მაგრამ დაახლოებით სადამოს 10 საათზე, მშენებლობაზე სადაც ის მუშაობდა, მასთან მივიდა პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც ის პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში წაიყვანა. განყოფილებაში მას უკარნახეს ტექსტი, რომელსაც მან ხელი მოაწერა. დამატებით, მან ხელი მოაწერა ხელნაწერ ოქმს, ისე, რომ არ წაუკითხავს ის. კითხვაზე, მიაყენა თუ არა მას პოლიციამ შეურაცხყოფა, უ. ქ.-მ უპასუხა, რომ პოლიციის განყოფილებაში ადგილი ჰქონდა გინებას და ის შეშინებული იყო. ასევე, უ. ქ.-მ განაცხადა, რომ პოლიცია მას დაპატიმრებით ემუქრებოდა.

22. 2004 წლის 27 დეკემბერს, სასამართლოში დაიკითხა თანამშრომელი შ. შ.. მან დაადასტურა, რომ მომჩივნის დაკავება და ჩხრეკა განხორციელდა ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ის ისევ აცხადებდა, რომ ჩხრეკას ესწრებოდა ორი მოწმე, რომლებსაც ქუჩაში შეხვდნენ. 2005 წლის 9 მარტს, პოლიციის მეორე თანამშრომლის, ნ. ო.-ს სასამართლოზე დაკითხვისას, მან განმარტა, რომ ის მოქმედება ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც „მუხიანის მე-4 კვარტალში იყო პიროვნება, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ“. მან დამატებით განაცხადა, რომ ის დარწმუნებული არ იყო, რომ მომჩივანს ვიზუალურად ეტყობოდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა. მან განაცხადა, რომ უ. ქ.-ს მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება არ შეესაბამებოდა სიმართლეს, დაადასტურა მომჩივნის ჩხრეკის ოფიციალური ვერსია, და რომ მომჩივნის პირადი ჩხრეკა განხორციელდა დაუყოვნებლივ, დაკავების ადგილზე.

23. ამავე დროს, ლ. ც.-მ, ჩხრეკის მეორე მოწმემ, უარი განაცხადა სასამართლოს წინაშე გამოცხადებაზე. სასამართლოში

გამოძახებების მიღების შემდეგ, 2005 წლის 18 თებერვალს მან მოსამართლეს მისწერა მოკლე წერილი, სადაც აცნობებდა, რომ ის ვერ შეძლებდა 2005 წლის 22 თებერვლის სხდომაზე გამოცხადებას, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილი ვიზიტის გამო.

24. სასამართლომ ასევე მოისმინა მომჩივნის ორი მეგობრის ჩვენება, რომლებიც მომჩივანთან ერთად იმყოფებოდნენ მისი დაკავების დროს. მათ განაცხადეს, რომ სამივე მათგანი იდგა საბილიარდოს წინ, როდესაც პოლიციამ დაუძახა მომჩივანს და ეს უკანასკნელი მიუახლოვდა მათ მანქანას. ორივე მათგანი აცხადებდა, რომ მომჩივანი დაუყოვნებლივ წაიყვანა პოლიციამ, ადგილზე ყოველგვარი ჩხრეკის ჩატარების გარეშე.

25. თავის დასკვნით განცხადებაში, მომჩივნის ადვოკატმა სთხოვა სასამართლოს, მომჩივნის პირადი ჩხრეკის ოქმი ეცნო ბათილად და არარად, სხვადასხვა პროცედურული დარღვევის გამო. მან ასევე განაცხადა, რომ მეორე მოწმე - ლ. ც. იყო პოლიციის აგენტი, პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც მრავალ მსგავს სისხლის სამართლის საქმეში წარმოადგენდა დამსწრე მოწმეს.

26. 2005 წლის 18 აპრილს, გლდანი-ნამალადევის რაიონულმა სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა სასჯელის ექვსი თვე. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ბრალეულობა მტკიცდებოდა პოლიციის ორი თანამშრომლის ჩვენებით, რომლებმაც დააკავეს და გაჩხრიკეს იგი, და პირადი ჩხრეკის შედეგებით. უ. ქ.-ს წინააღმდეგობრივ მტკიცებასთან მიმართებით, სასამართლომ განაცხადა, რომ „უდავოდ არ არის დადასტურებული ის გარემოება, რომ იგი არ ყოფილა პირადი ჩხრეკის მოწმე და რომ მას ხელი ყველა დოკუმენტზე მოაწერინეს“. შედეგად, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, არ გაეთვალისწინებინა უ. ქ.-ს ჩვენების ის ნაწილი, სადაც ის უარყოფდა პირად ჩხრეკაზე დასწრებას. სასამართლომ დამატებით განაცხადა, რომ ის ვერ გაითვალისწინებდა მომჩივნის მეგობრების ჩვენებებს, ვინაიდან ეს ორი პიროვნება იყო განსასჯელის მეგობარი და შესაბამისად, სურდათ მისთვის თავიდან აეცილებინათ სირთულეები.

27. მომჩივანმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც კვლავ აცხადებდა, რომ მისი ჩხრეკა არ მომხდარა დაკავების დროს და რომ მისი მსჯავრდება

ეფუძნებოდა ყალბ („ჩადებულ“) მტკიცებულებას. ის აცხადებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიტანა ობიექტური დასკვნები მისი მეგობრებისა და უ. ქ.-ს ჩვენებებიდან, რომელშიც ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ ის არ ყოფილა ჩხრეკის მოწმე. მომჩივანმა ასევე გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ არ მომხდარა ლ. ც.-ს მოსმენა. მან წარადგინა მოწმის მისამართი და მოითხოვა მისი სასამართლოს წინაშე დაკითხვა. ამავე დროს, მან სთხოვა სასამართლოს, განმეორებით დაეკითხა ყველა მოწმე, კერძოდ პოლიციის ორი თანამშრომელი, უ. ქ. და მისი მეგობრები.

28. 2005 წლის 3 ივნისს დაიწყო სააპელაციო საქმის წარმოება. სააპელაციო სასამართლომ მოუსმინა დაკავებაში მონაწილე ორ თანამშრომელს, რომლებმაც დაადასტურეს მოვლენების განვითარების ოფიციალური ვერსია. ორივემ განაცხადა, რომ რამდენადაც ახსოვთ, ოპერატიულ ინფორმაციაში უბრალოდ მითითებული იყო, რომ კონკრეტულ მისამართზე, იყო ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პიროვნება. ვერცერთმა მათგანმა ვერ გაიხსენა, თუ კონკრეტულად ვინ მიიღო ეს ინფორმაცია პოლიციის განყოფილებაში და ამ ინფორმაციის მიწოდება მოხდა ტელეფონით თუ სხვა საშუალებით.

29. სააპელაციო სასამართლომ გამოკითხა ლ. ც., ჩხრეკის მეორე დამსწრე მოწმე, რომელმაც დაადასტურა, რომ ის პოლიციის მოთხოვნით ესწრებოდა აღნიშნულ ჩხრეკას, და რომ მან დაინახა, რომ მომჩივანს შარვლის ჯიბეში აღმოუჩინეს მოყვითალო ნივთიერება. მან უარყო დაცვის ბრალდება იმაზე, რომ ის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი იყო ან სხვაგვარად თანამშრომლობდა პოლიციასთან წარსულში. პირველმა დამსწრე მოწმემ, უ. ქ.-მ დაადასტურა ის ჩვენება, რომელიც მან მისცა პირველი ინსტანციის სასამართლოში. მან უარყო ბრალდება, რომ ის ესწრებოდა მომჩივნის პირად ჩხრეკას და განაცხადა, რომ ის პოლიციის განყოფილებაში აიძულეს, ხელი მოეწერა რამდენიმე დოკუმენტზე. ის აცხადებდა, რომ პოლიციის მხრიდან დაექვემდებარა როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ფიზიკურ ზეწოლას. ამავე დროს, პროკურორის მიერ დასმულ კითხვაზე, უ. ქ.-მ უპასუხა, რომ მას შემდეგ, რაც მან გაიგო, რომ დოკუმენტები რომლებსაც მან ხელი მოაწერა, შეეხებოდა მომჩივანს, ის წავიდა მომჩივნის ძმის სანახავად და უამბო მას ყველაფერი. შემდეგ, მომჩივნის ერთ-ერთ ბიძაშვილთან ერთად წავიდა სახალხო

დამცველის ოფისში და მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საქმის გარემოებების შესახებ.

30. სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დაიკითხა მომჩივნის ორი მეგობარი. მათ დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებები.

31. 2005 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე, მომჩივნის ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოს სთხოვა, მიუღებლობის საფუძველზე მტკიცებულებიდან ამოერიცხა, სხვებს შორის, მომჩივნის პირადი ჩხრეკის ოქმი. დაცვის ადვოკატი აცხადებდა, რომ პირველ რიგში, ჩხრეკა განხორციელდა მოსამართლის ბრძანების ან ზემდგომი გამომძიებლის ნებართვის გარეშე, სსსკ-ს შესაბამისი დებულებების დარღვევით. ამ არგუმენტის გასამტკიცებლად მან მიუთითა იმ ფაქტზე, რომ პირადი ჩხრეკის შესახებ ბრძანება არ იყო სათანადოდ ხელმოწერილი უფროსი გამომძიებლის მიერ, არ იყო მითითებული მისი გაცემის დრო, და შეიცავდა დეტალურ ინფორმაციას მომჩივნის ვინაობის, მისი სახელისა და მისამართის ჩათვლით, და ნარკოტიკული ნივთიერების სახეობის - ჰეროინის შესახებ, რომელიც მას სავარაუდოდ თან ჰქონდა - იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც პოლიციისთვის ცნობილი გახდა მომჩივნის დაკავებისა და ჩხრეკის შემდეგ. ამასთანავე, მან განაცხადა, რომ ჩხრეკის წინ მომჩივანს არ გააცნეს დადგენილება. აგრეთვე, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე მიცემულ ჩვენებაში უ. ქ. ცალსახად აცხადებდა, რომ ის არ ყოფილა მომჩივნის პირადი ჩხრეკის მოწმე და პოლიციის განყოფილებაში მას იძულებით მოაწერინეს გარკვეულ დოკუმენტებზე ხელი. მეორე მოწმესთან მიმართებით ადვოკატმა განაცხადა, რომ ლ. ც.-მ იცრუა პოლიციასთან მუშაობის გამოცდილების შესახებ და შესაბამისად, არ იყო სანდო. ამ არგუმენტის გასამყარებლად, დაცვის ადვოკატმა წარმოადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი, რომლის თანახმადაც ლ. ც. სამინისტროში მუშაობდა 1996 წელს. მესამე, დაცვის მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომჩივნის მეგობრები მუდმივად აცხადებდნენ, რომ დაკავების ადგილზე არ მომხდარა მომჩივნის ჩხრეკა. შესაბამისად, დაცვის მხარემ მოითხოვა ჩხრეკის ოქმის, როგორც დაუშვებელი მტკიცებულების ამოღება, სსსკ-ს 111-ე მუხლის შესაბამისად.

32. 2005 წლის 6 დეკემბერს, სააპელაციო სასამართლომ უარყო მომჩივნის მოთხოვნა სრულად. ჩხრეკის დადგენილებასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ის მიღებული იყო

პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ სსსკ-ს 67-ე მუხლის შესაბამისად. ასევე სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო ნათელი, ნამდვილად მოხდა თუ არა პირადი ჩხრეკის ჩატარებამდე მომჩივნისთვის დადგენილების წაკითხვა; შესაბამისად, საქმის წარმოების მოცემულ ეტაპზე, სასამართლოს არ შეეძლო შეეფასებინა პროცედურის სავარაუდო დარღვევა.

33. 2006 წლის 21 თებერვალს, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის ბრალეულობა დასტურდებოდა მისი დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, დაკავებაში მონაწილე თანამშრომლების ჩვენებებით, და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. უ. ქ.-ს ჩვენებასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება იყო არადაამაჯერებელი, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა საქმის მასალებს. გარდა ამისა, უ. ქ.-ს ჩვენება „არალოგიკური“ იყო და სავარაუდოდ მიცემული იქნა მომჩივნის ოჯახის ზეგავლენით. სააპელაციო სასამართლო ასევე დაეყრდნო ლ. ც.-ს ჩვენებას, რომელშიც ის უარყოფდა მომჩივნის ბრალდებას, რომ ის იყო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი. სასამართლომ უარყო მომჩივნის ორი მეგობრის ჩვენება მათი არასანდოობის საფუძველით.

34. 2006 წლის 6 მარტს, მომჩივანმა შეიტანა საკასაციო საჩივარი. ის ისევ აცხადებდა, რომ მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინასასამართლო გამოძიებისას, ზღუდავდა მის მიერ თავის დაცვის შესაძლებლობას და რომ, მისი მსჯავრდება ეფუძნებოდა უკანონო მტკიცებულებას, კერძოდ გადაუდებელ გარემოებებში პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ გაყალბებულ დადგენილებას, რაც საფუძველად დაედო უკანონო ჩხრეკასა და მოწმეთა ცრუ ჩვენებებს. მან ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, მტკიცებულებების მიუღებლობის შესახებ მოთხოვნის უარყოფაზე, იყო დაუსაბუთებელი.

35. 2006 წლის 12 ივნისს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი დაუშვებლად ცნო იმ საფუძველით, რომ ის არ აკმაყოფილებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს.

36. 2011 წლის 3 იანვარს მომჩივანი გათავისუფლებული იქნა ციხიდან პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

37. მოცემულ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები:

მუხლი 13. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

“...

2. ჩხრეკა [და/ან] ამოღება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით). თუ არსებობს კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა... ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე, მაგრამ მათი კანონიერება და დასაბუთებულობა უნდა შეამოწმოს მოსამართლემ მათ შესახებ მასალების წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. ამასთან, მოსამართლე წყვეტს აღნიშნული საპროცესო მოქმედებებით მიღებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს. „

მუხლი 73. ექვმიტანილის უფლებები

“1. ექვმიტანილს უფლება აქვს...

გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედებები და გადაწყვეტილებები პროკურორთან, პროკურორისა – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში – სასამართლოში;“

მუხლი 102. დამსწრე

“1. დამსწრეს იძახებს მომკვლევ, გამომძიებელი ... საგამომძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტის, მისი მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად.

2. საგამომძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობისათვის გამოძახებულ უნდა იქნეს არანაკლებ 2 დამსწრისა იმ პირთაგან, რომლებიც დაინტერესებულნი არ არიან საქმის შედეგით. საგამომძიებო მოქმედების დაწყების წინ მომკვლევ ... დამსწრეთ განუმარტავს მათ უფლება-მოვალეობებს.“

მუხლი 111. დაუშვებელი მტკიცებულება

“1. მტკიცებულება დაუშვებლად მიჩნევა, თუ იგი მიღებულია:

...

(გ) კანონით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით;

(დ) პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი ან რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები....”

მუხლი 234. სისხლის სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს და თანამდებობის პირის მოქმედებისა ან გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

“მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, გამოძიების ორგანოს უფროსის, პროკურორის, მოსამართლის ან სასამართლოს მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ პროცესის მონაწილეებს, სხვა მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს ამ კოდექსით დადგენილი წესით..”

მუხლი 263. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ

“1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც მომკვლევს ... მიაწოდეს მოქალაქემ, თანამდებობის პირმა, ... მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, აგრეთვე უშუალოდ სამართალწარმოების ორგანოს მიერ საქმის გამომძიებისას აღმოჩენილი ცნობები...”

2. ანონიმური ცნობები სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზს არ წარმოადგენს. ასეთი ცნობები შეიძლება გადამოწმდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების გზით.“

მუხლი 265. დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების განხილვის წესი

“1. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი.

2. ზეპირი ცნობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი.“

მუხლი 272. დამსწრეთა მონაწილეობა საგამომძიებო მოქმედებაში

“1. ამოღება [და/ან] ჩხრეკა ... ხდება არანაკლებ ორი დამსწრის მონაწილეობით.“

მუხლი 290. მოსამართლის ბრძანებით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედება

“... ”

2. ამოღება [და/ან] ჩხრეკა... გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით, რის შესახებაც მოსამართლეს ... უნდა ეცნობოს 24 საათის განმავლობაში და გადაეცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებიც ასაბუთებენ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე ... პროკურორის მონაწილეობით ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების კანონიერებას ... და გამოაქვს შემდეგ დადგენილება: (ა) ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ; ან (ბ) ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.

3. ამოღება [და/ან] ჩხრეკა ... მოსამართლის ბრძანების გარეშე, გადაუდებელ შემთხვევებში, შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის

საქმის აღძვრამდეც. აღნიშნულის შესახებ მოკვლევის ორგანოს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება. მათი ჩატარების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ პროკურორს, რომელიც გაეცნობა მოკვლევის ორგანოს დადგენილებას ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების შესახებ, ოქმებს, მიღებულ ფაქტობრივ მონაცემებს. პროკურორი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში აღნიშნულის შესახებ აცნობოს იმ მოსამართლეს ... და წარუდგინოს მასალები, რომლებიც ასაბუთებენ საგამომიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. მოსამართლე, პროკურორის შუამდგომლობის შემოსვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, მისი მონაწილეობით ამოწმებს ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების კანონიერებას ... პროკურორის შუამდგომლობის განხილვის შემდგომ მოსამართლეს ... გამოაქვს დადგენილება (ა) ... საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ; ან (ბ) ჩატარებული საგამომიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.

4. გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც: არსებობს დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების მოსპობისა და დაკარგვის რეალური საშიშროება, პირს დანაშაულის ფაქტზე წაასწრებენ, საქმისათვის საჭირო საგნები და დოკუმენტები აღმოჩენილია სხვა საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამომიებო ექსპერიმენტი, შემოწმება) ან შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო.

...

7. ამ მუხლის მე-2-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო სხდომის ოქმი არ დგება, ხოლო მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება არ გასაჩივრდება.“

მუხლი 321. ამოღებისა და ჩხრეკის დამსწრე

“1. ამოღებას ან ჩხრეკას ესწრება არანაკლებ ორი დამსწრისა. ...“

მუხლი 325. პირადი ჩხრეკა და ამოღება

“...“

3. მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) გარეშე პირადი ჩხრეკა ან ამოღება შეიძლება შემდეგ შემთხვევებში

(ა) თუ ... ეჭვმიტანილის შეპყრობისას არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მას თან აქვს იარაღი ან ცდილობს თავიდან მოიშოროს მტკიცებულება. ...;

(ბ) პოლიციაში... ეჭვმიტანილის მიყვანის შემდეგ დაკავების ოქმის შედგენისას;

(გ) ბრალდებულის დაპატიმრებისას...

(დ) თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების ადგილას მყოფი პირი ძალავს ამოსაღებ საგანს ან დოკუმენტს.“

**მუხლი 547. საკასაციო წესით გასაჩივრების საგანი
(2005 წლის 23 ივნისს მიღებული ცვლილების შესაბამისად)**

“...

2. საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ:

(ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

(ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

(გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.“

38. 2005 წლის 23 ივნისს მიღებული ცვლილებების საფუძველზე ამოღებული იქნა კოდექსის 548-ე მუხლი, რომლის თანახმადაც უზენაეს სასამართლოს უნდა განეხილა საკასაციო საჩივარი სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

III. შედარებითი სამართალი და პრაქტიკა

39. ოცდაექვს წევრ სახელმწიფოსთან დაკავშირებული სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი შედარებითი ინფორმაციის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმეებში, პოლიციას ყველა სახელმწიფოში, გარდა ერთისა, აქვს უფლება ჩაატაროს პირადი ჩხრეკა სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყებამდე. ზოგადი წესი ყველა სახელმწიფოში, გარდა ორისა, მდგომარეობს იმაში, რომ პირადი ჩხრეკა საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას. თუმცა, არსებობს ამ წესთან დაკავშირებული ორი უნივერსალური გამონაკლისი: გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც დაყოვნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გამოძიებას; და *flagrante delicto* შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის მომენტში, ან როდესაც დანაშაული ჩადენილია ცოტა ხნის წინ.

40. მტკიცებულების სტანდარტი მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩხრეკის ჩატარებისთვის, არის „საფუძვლიანი ეჭვი“. სხვა სიტყვებით, პოლიციას არ შეუძლია ჩხრეკის ჩატარება სულ მცირე

რაიმე გონივრულად მისაღები ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე. მოწმის/მოწმეების ჩხრეკაზე დასწრების მოთხოვნა არსებობს მხოლოდ ექვს ქვეყანაში. არცერთი ქვეყანა არ ითხოვს ჩხრეკაზე ადვოკატის დასწრებას, თუმცა, ოთხი ქვეყანა უშვებს მსგავს შესაძლებლობას გასაჩხრეკი პირის მოთხოვნის შემთხვევაში. ბოლოს, არცერთ სახელმწიფოში არ არის ჩხრეკის აუდიო ან ვიდეო ჩაწერის ვალდებულება.

41. მხოლოდ ექვსი წევრი სახელმწიფო იძლევა სპეციალურ *ex post facto* შეჯიბრებითი სასამართლო საქმის წარმოების შესაძლებლობას, მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის განხილვისათვის.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

42. მომჩივანი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის წარმოება უსამართლო იყო, ვინაიდან მისი მსჯავრდება ეფუძნებოდა ყალბ („ჩადებულ“) მტკიცებულებას. მან ასევე განაცხადა, რომ მას წაერთვა საკუთარი ინტერესების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით. მომჩივანი დაეყრდნო კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს და მე-13 მუხლს.

43. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მე-6 მუხლის როლი მე-13 მუხლთან მიმართებით არის *lex specialis*, მე-13 მუხლის მოთხოვნები შთაინთქმება მე-6 მუხლის უფრო მკაცრი მოთხოვნებით (იხილეთ *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [დიდი პალატა], no. 76943/11, § 65, 2016 წლის 29 ნოემბერი; ასევე იხილეთ *Baka v. Hungary* [დიდი პალატა], no. 20261/12, § 181, 2016 წლის 23 ივნისი, სხვა მითითებებთან ერთად). სასამართლო ასევე აცხადებს, რომ მომჩივნის პრეტენზიები განხილული უნდა იქნას კონვენციის მხოლოდ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში, რომელშიც ვკითხულობთ:

მუხლი 6 § 1

“ყოველი ადამიანი ... წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია სამართლიანი ... განხილვის უფლებით ... სასამართლოს მიერ ...“

A. მისაღებობა

1. მხარეთა არგუმენტები

44. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის მიერ კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად წარდგენილი საჩივარი მიუღებელი იყო შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოუწურაობის გამო. პირველ რიგში, მთავრობა აცხადებდა, რომ მომჩივანს პასუხისმგებელი გამომძიებლის ან პროკურორისთვის საჩივარი უნდა წარედგინა სსსკ-ს 73-ე და 234-ე მუხლების საფუძველზე, პოლიციის მიერ ნარკოტიკების სავარაუდო ჩადებასთან დაკავშირებით. მეორე, მომჩივანმა არ მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს სსსკ-ს 111-ე მუხლის (ზ) და (დ) ნაწილების საფუძველზე პირადი ჩხრეკის შესახებ ოქმის უარყოფისა და მტკიცებულების დაუშვებლად მიჩნევისათვის. მესამე, მომჩივანმა საკასაციო საჩივრის შეტანისას ცალკე არ გაასაჩივრა ჩხრეკის ოქმის მტკიცებულებად მიღების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება. და ბოლოს, მთავრობის განცხადებით, მომჩივანს შეეძლო სსსკ-ს 364-ე მუხლის საფუძველზე მოეთხოვა ალტერნატიული ექსპერტიზა, მისი ნარკოტიკული საშუალების შესაძლო ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დასადგენად, რაც მომჩივანმა არ გააკეთა.

45. მთავრობამ დამატებით განაცხადა, რომ მომჩივნის საჩივარი ნებისმიერ შემთხვევაში აშკარად დაუსაბუთებელი იყო, რადგან მან ვერ შეძლო მისი პრეტენზიების დასაბუთება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო საქმის წარმოების განმავლობაში დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

46. მომჩივანი არ დაეთანხმა. მან განაცხადა, რომ ის თავის საჩივარს სსსკ-ს 73-ე მუხლის საფუძველზე ვერ წარუდგენდა ზედამხედველ პროკურორს, რადგან მას არასდროს მიუღია გადაუდებელ გარემოებებში პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ დადგენილების ასლი. ჩხრეკის ოქმის მტკიცებულებად დაუშვებლობის საკითხის წამოჭრასთან დაკავშირებით,

მომჩივანმა განაცხადა, რომ ეს საკითხი მან დააყენა სააპელაციო სასამართლოს წინაშე და ასევე, უზენაეს სასამართლოში შეტანილ საკასაციო საჩივარში. შესაბამისად, ზედმეტი იქნებოდა უზენაეს სასამართლოში მტკიცებულების დაუშვებლობაზე ცალკე საჩივრის შეტანა. მომჩივნის განცხადებით, ყველა შემთხვევაში, სამივე სასამართლო ინსტანციას, რომელიც იყო სრულად კომპეტენტური საჩივარი განეხილა და მისი უფლება დაეცვა, ნამდვილად წარედგინა შესაბამისი საჩივარი.

2. სასამართლოს შეფასება

47. მთავრობის არგუმენტთან დაკავშირებით, რომ მომჩივანს პოლიციის მოქმედებების შესახებ საჩივრით უნდა მიემართა ზემდგომი გამომძიებლის და/ან პროკურორისთვის, სასამართლო იმეორებს თავის ფართოდ დამკვიდრებული პრეცედენტულ სამართალს, რომლის თანახმადაც ზოგადად, იერარქიული სამართლებრივი დაცვის საშუალება ვერ მიიჩნევა ეფექტურად, ვინაიდან მომჩივნებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ამგვარ წარმოებაში (იხილეთ, *შეს.*, no. 37048/04, § 112, 2009 წლის 13 იანვარი, სხვა მითითებებთან ერთად). მეტიც, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, და როგორც მომჩივანმა განაცხადა და მთავრობას არ გაუხდია სადავოდ, მომჩივანს არ მიუღია გადაუდებელ გარემოებებში პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ დადგენილება (იხილეთ 31-ე და 32-ე პარაგრაფები ზემოთ). შესაბამისად, არ შეიძლება მისი გაკრიტიკება არგასაჩივრების გამო (იხილეთ *Giorgi Nikolaishvili v. Georgia*, მითითებული ზემოთ, § 112; ასევე იხილეთ *Baisuev and Anzorov v. Georgia*, no. 39804/04, § 35, 2012 წლის 18 დეკემბერი, სხვა მითითებებთან ერთად).

48. მთავრობის არგუმენტის მეორე ნაწილთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე მომჩივანი გამუდმებით იმეორებდა მოვლენების განვითარების საკუთარ ვერსიას, მას სასამართლოსთვის ოფიციალურად ნამდვილად არ მიუმართვს მისი პირადი ჩხრეკის ოქმისა და მისგან გამომდინარე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ დაცვის მხარემ თავის დასკვნით სიტყვაში სასამართლოს მოსთხოვა, ოქმის უარყოფა, როგორც ბათილი და არარა (იხილეთ პარაგრაფი 25 ზემოთ). ამასთანავე, დაუშვებლობის მოთხოვნა სათანადოდ გაჟღერდა სააპელაციო სასამართლოში, რომელსაც ჰქონდა სრული

უფლებამოსილება გადაეხედა საქმის ფაქტობრივი და პროცედურული ნაწილისათვის (იხილეთ პარაგრაფი 31 ზემოთ). აქედან გამომდინარე, მომჩივანს შესაძლოა ჰქონდა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ გამოსწორდებოდა მისი უფლებების სავარაუდო დარღვევა. ამასთან მიმართებით, ის ფაქტი, რომ მომჩივანმა ცალკე არ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება (იხილეთ პარაგრაფი 32 ზემოთ), არის არარელევანტური იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის მთავარ პრეტენზიაზე, სათანადოდ გამახვილდა ყურადღება უზენაეს სასამართლოში შეტანილ საკასაციო საჩივარში (იხილეთ პარაგრაფი 34 ზემოთ).

49. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის არგუმენტს ამოუწურაობის შესახებ. ასევე, სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი არის აშკარა დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ არ არსებობს საჩივრის მიუღებლობის რაიმე სხვა საფუძველი. შესაბამისად, ის უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

B. საქმის არსებითი გარემოებები

1. მხარეთა არგუმენტები

50. მომჩივანმა განაცხადა, რომ დაკავების დროს მას არ ჰქონდა ჰეროინი. მან დაგმო ის ფაქტი, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მიიღეს პოლიციის ჩვენებები, როგორც უტყუარი, მაშინ, როდესაც მარტივად უარყვეს მისი მეგობრების ჩვენებები სუბიექტურობისა და არა სანდოობის საფუძველით. ე.წ. დამოუკიდებელ დამსწრე მოწმეებთან უ. ქ.-სა და ლ. ც.-სთან მიმართებით, მომჩივანმა განაცხადა, რომ მათი ჩვენებები იყო ძალიან არასანდო და ურთიერთსაწინააღმდეგო. კერძოდ, მან წარმოადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 1-ლი ნოემბრის წერილი, სადაც მითითებული იყო, რომ ლ. ც. იყო პოლიციელი, ვიდრე 1996 წელს ის არ გაათავისუფლეს სამსახურიდან წოდების ღირსების შელახვისთვის. მომჩივნის განცხადებით, ეროვნულმა სასამართლოებმა უგულვებელყვეს ეს ინფორმაცია. მათ ასევე არ გაითვალისწინეს უ. ქ.-ს ბრალდება, რომ წინასასამართლო ჩვენება მან პოლიციას ზეწოლის ქვეშ მისცა.

51. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ სავარაუდო ოპერატიული ინფორმაცია, რომელმაც განაპირობა მის წინააღმდეგ წარმოების

დაწყება, ეროვნულ დონეზე არასოდეს გამხდარა შესწავლის საგანი. შესაბამისად, არ არსებობდა არანაირი ჩანაწერები ამ ინფორმაციაზე; არავინ იცოდა, თუ რა სახის ინფორმაცია იქნა მიწოდებული, რამაც საშუალება მისცა პოლიციას, მომჩივანი მიეჩნიათ ეჭვმიტანილად. ამასთან დაკავშირებით, მომჩივანმა ხაზგასმით აღნიშნა სსსკ-ს 263-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, ანონიმური ცნობები პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოების დაწყების საფუძველს არ წარმოადგენს. მომჩივანმა განაცხადა, რომ არავის დაუსვამს კითხვა, თუ რატომ იქნა მიჩნეული გადაუდებლად ჩხრეკის ჩატარება მოსამართლის ბრძანების გარეშე ან ბრალდება იმაზე, რომ მას შეიძლება გაენადგურებინა მტკიცებულება.

52. თავის მხრივ, მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, სრულად იქნა დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპი. მთავრობა ამტკიცებდა, რომ დაკავების შემდეგ მომჩივანს დაუყოვნებლივ ეცნობა დაცვის უფლებების, მათ შორის, საკუთარი არჩევანით ადვოკატის ყოლის უფლების შესახებ. საქმის წარმოების პროცესში ის ეფექტიანად იყო წარმოდგენილი ადვოკატის მიერ. მომჩივანს შეუზღუდავი წვდომა ჰქონდა საქმის მასალებზე, მონაწილეობდა სასამართლოზე მტკიცებულებების განხილვაში, და მიეცა შესაძლებლობა, მოეწვია მისი ყველა მოწმე, რომელიც ჩვენებას მისცემდა და გაესაჩივრებინა მტკიცებულება, მათ შორის მისი პირადი ჩხრეკის შედეგები. მომჩივანს ასევე საშუალება მიეცა წარედგინა მრავალი მოთხოვნა.

53. თავად ჩხრეკასთან მიმართებით, მთავრობამ წარადგინა სამმაგი არგუმენტი. პირველი, მთავრობა იმეორებდა, რომ სსსკ-ს 290-ე მუხლის თანახმად, გადაუდებელ შემთხვევებში ჩხრეკა შესაძლებელია ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე. წინამდებარე საქმეში, მსგავსი მოქმედება ნებადართული იყო შესაბამისი პოლიციის სამმართველოს უფროსის მიერ 2004 წლის 4 ივლისს გამოცემული დადგენილებით. მეორე, პოლიციის მიერ მიღებულ ოპერატიულ ინფორმაციასთან მიმართებით, არსებობდა საკმარისი საფუძველი ეჭვისთვის, რომ მუხიანის რაიონში იმყოფებოდა პიროვნება ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ და რომ ის გეგმავდა მტკიცებულების განადგურებას. შესაბამისად, გადაწყდა პირადი ჩხრეკის ჩატარება გადაუდებელ გარემოებებში. და ბოლოს, ორი დამოუკიდებელი

მოწმე ესწრებოდა ჩხრეკას სსსკ-ს 321-ე მუხლის შესაბამისად და ორივე მათგანმა წინასასამართლო გამოძიებისას დაადასტურა მოვლენათა განვითარების ოფიციალური ვერსია.

54. მთავრობამ განაცხადა, რომ ის ფაქტი, რომ მომჩივანს არ მიეცა *ex post factum* მისი პირადი ჩხრეკის ოქმის კანონიერად ცნობის პროცესში მონაწილეობის საშუალება, დაკავშირებული არ არის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მის უფლებებთან. სსსკ-ს 290-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის პროცედურაზე მითითებით (მითითებულია 37-ე პარაგრაფში ზემოთ), მთავრობამ ხაზი გაუსვა იმას, რომ უფლებამოსილმა მოსამართლემ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება მამტკიცებელ დოკუმენტებზე დაყრდნობით. კერძოდ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ ჩხრეკის ჩატარების შესახებ დადგენილებასა და პოლიციის მიერ შედგენილ ჩხრეკის ოქმზე დაყრდნობით. შესაბამისად, ზემოთ ხსენებული სასამართლო პროცედურის სავარაუდო უარყოფითი ზეგავლენა დაუსაბუთებელი დარჩა. ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობამ კვლავ გაიმეორა მიუღებლობის არგუმენტი და აცხადებდა, რომ მომჩივანს შეეძლო გაესაჩივრებინა გადაუდებელ ვითარებაში მისი პირადი ჩხრეკა სსსკ-ს 234-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ 2004 წლის 5 ივლისს გადაწყვეტილების კანონიერად ცნობამდე. ასევე, მთავრობის განცხადებით ის ფაქტი, რომ მომჩივანს არ გადაეცა დადგენილების ასლი პირადი ჩხრეკის ჩატარებამდე, არარელევანტური იყო. მართლაც, მომჩივანს წინასასამართლო გამოძიების დროს ან პირველი ინსტანციის სასამართლოში არასოდეს დაუფიქსირებია პრეტენზია ამ საკითხთან მიმართებით.

55. და ბოლოს, მთავრობამ განაცხადა, რომ პოლიციას ჰქონდა საკმარისი საფუძველი ევარაუდა, რომ მომჩივანი ეცდებოდა მტკიცებულების განადგურებას და შესაბამისად, გადაწყდა გადაუდებელ გარემოებებში ჩხრეკის ჩატარება.

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

56. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, და სასამართლოს ამოცანაა შეაფასოს, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვების გზები და მოსმენა, სამართლიანი - კერძოდ, მიეცა თუ არა მომჩივანს

მტკიცებულების გასაჩივრებისა და მათი გამოყენებისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა, და იყო თუ არა შეჯიბრებითი პროცესისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები დაცული ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის (იხილეთ *Bykov v. Russia* [დიდი პალატა], no. 4378/02, §§ 88-90, 2009 წლის 10 მარტი, და *Rowe and Davis v. the United Kingdom* [დიდი პალატა], no. 28901/95, § 60, ECHR 2000-II). საქმის წარმოების სამართლიანობის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მტკიცებულების ხარისხი, მათ შორის, აყენებდა თუ არა ეჭვის ქვეშ მათ სანდოობას ან სიზუსტეს ის გარემოებები, რომლებშიც მოხდა მათი მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანობის საკითხი აუცილებლად არ წარმოიშობა თუ მოპოვებული მტკიცებულება არ არის გამყარებული სხვა მასალებით, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მტკიცებულება საკმაოდ მყარია და არ არსებობს მისი არასანდოობის საფრთხე, დამადასტურებელი მტკიცებულების საჭიროება შესაბამისად ნაკლებია (იხილეთ *Bykov*, მითითებული ზემოთ, § 90; ასევე იხილეთ *Prade v. Germany*, no. 7215/10, § 34, 2016 წლის 3 მარტი, სხვა მითითებებთან ერთად).

57. სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ მართალია, კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, ის არ ადგენს მტკიცებულების დასაშვებობის რაიმე წესებს, რაც, პირველ რიგში, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საკითხს წარმოადგენს (იხილეთ *Schenk v. Switzerland*, 1988 წლის 12 ივლისი, § 45, Series A no. 140; *Teixeira de Castro v. Portugal*, 1998 წლის 9 ივნისი, § 34, ანგარიშები 1998-IV; და *Jalloh v. Germany* [დიდი პალატა], no. 54810/00, §§ 94-96, ECHR 2006-IX).

58. შესაბამისად, სასამართლოს ფუნქციას, პრინციპულად, არ წარმოადგენს იმის განსზღვრა, კონკრეტული მტკიცებულება - მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის თვალსაზრისით უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება - იყო თუ არა დასაშვები ან იყო თუ არა მომჩივანი დამნაშავე. კითხვა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი, არის იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში, ასევე მტკიცებულების მოპოვების გზები სამართლიანი. ეს გულისხმობს განხილვაში მყოფი „უკანონობის“ გამოკვლევასა და, იმის დადგენას, ადგილი ჰქონდა თუ არა კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლების დარღვევას,

აღმოჩენილი დარღვევების ხასიათის განსაზღვრას (იხილეთ *Bykov*, § 89, და *Prade* § 33, ორივე მითითებულია ზემოთ).

(b) ზოგადი პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

59. მომჩივანი აცხადებდა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც სავარაუდოდ აღმოუჩინეს, მას არ ეკუთვნოდა. მან ასევე განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა ადეკვატური საპროცესო საშუალებები, რათა გაესაჩივრებინა მისი პირადი ჩხრეკა, და რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დასაშვებად ცნეს შედეგად მიღებული უკანონო მტკიცებულებები, რამაც მისი საქმის განხილვა უსამართლოდ აქცია.

60. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის სადავო პირადი ჩხრეკა წარმოადგენდა მთავარ საგანს, რამაც გამოიწვია მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება. პოლიციის შესაბამისი ოქმი, ისევე, როგორც პოლიციის ორი თანამშრომლის ჩვენება, რომლებმაც ჩაატარეს ჩხრეკა და ასევე ორი დამსწრის ჩვენება, რომლებიც სავარაუდოდ ესწრებოდნენ ჩხრეკას, გახდა მომჩივნის მსჯავრდების საფუძველი. შესაბამისად, პირადი ჩხრეკა იყო საგამომიებო მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფდა მტკიცებულებას, რომელსაც ეფუძნებოდა მსჯავრდება. სადავო ჩხრეკის ჩატარების მეთოდმა და ამ ჩხრეკის შედეგების მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენების გზამ, მთლიანობაში გავლენა იქონია სასამართლო განხილვის პროცედურულ სამართლიანობაზე (იხილეთ *Lisica v. Croatia*, no. 20100/06, §§ 60-61, 2010 წლის 25 თებერვალი; *Layijov v. Azerbaijan*, no. 22062/07, §§ 66-67, 2014 წლის 10 აპრილი; და *Sakit Zahidov v. Azerbaijan*, no. 51164/07, §§ 51-52, 2015 წლის 12 ნოემბერი; განსხვავებისთვის შეადარეთ *Svetina v. Slovenia*, no. 38059/13, § 50, 2018 წლის 22 მაისი). სწორედ ამ კუთხით მიუდგება სასამართლო მომჩივნის საჩივარს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან დაკავშირებით.

(i) მტკიცებულების მოპოვების მეთოდი

61. წინამდებარე საქმეში მომჩივნის პირადი ჩხრეკა განხორციელდა მოსამართლის ბრძანების გარეშე, 2004 წლის 4 ივლისს შესაბამისი პოლიციის სამმართველოს უფროსის მიერ გამოცემული დადგენილების საფუძველზე, ეს წარმოადგენდა გადაუდებელი გარემოებების დროს მოქმედ პროცედურას სსსკ-ის 290-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების მიხედვით (იხილეთ

პარაგრაფი 37 ზემოთ). თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ დადგენილება მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების გარეშე, წარმოადგენდა წინასწარ დაბეჭდილ ტექსტს, რომელშიც ხელით იყო ჩამატებული მომჩივნის სრული სახელი და შენიშვნა, რომ მომჩივანი ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ფლობაში (იხილეთ პარაგრაფი 8 ზემოთ). დადგენილება მკაფიოდ ახდენდა მომჩივნის იდენტიფიცირებას მისი სახელისა და მისამართის მეშვეობით, მაშინ, როცა პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ჩაატარეს ჩხრეკა დადგენილების საფუძველზე, ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში მუდმივად აცხადებდნენ, რომ მიღებული ოპერატიული ინფორმაციით გარკვეულ მისამართზე მყოფი გარკვეული პიროვნება იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ (იხილეთ 22-28 პარაგრაფები ზემოთ). უფრო მეტიც, დადგენილება არ იყო დასაბუთებული, რადგან იგი არ უთითებდა იმ გადაუდებელ გარემოებებზე, რომლებიც საჭიროებდა გადაუდებელი ჩხრეკის ჩატარებას მოსამართლის ბრძანების გარეშე (იხილეთ სსსკ-ს 290-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მითითებული 37-ე პარაგრაფში ზემოთ). როგორც ჩანს, მომჩივნის მოსამართლის ბრძანების გარეშე გადაუდებელი ჩხრეკის განმაპირობებელი კონკრეტული გარემოებების იდენტიფიცირება არც მოგვიანებით ეტაპზე მომხდარა, რადგან მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის მასალები არ მოიცავდა შესაბამისი მოკვლევის მასალებს ან/და ოპერატიულ ინფორმაციას (ამასთან დაკავშირებით იხილეთ პარაგრაფები 68 და 69 ქვემოთ). ვერც პოლიციის თანამშრომლებმა მოჰფინეს ნათელი ამ საკითხს (მათ საკმაოდ ზოგად და არათანმიმდევრულ ჩვენებებთან დაკავშირებით იხილეთ მე-12, 22-ე და 28-ე პარაგრაფები ზემოთ). შესაბამისად, ჩხრეკის წინა გარემოებები გაურკვეველი დარჩა.

62. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ ჩხრეკის ჩატარების კონკრეტული გარემოებები საეჭვო იყო და ასე დარჩა მთელი სასამართლო განხილვის განმავლობაში. მომჩივანი აცხადებდა, რომ ნარკოტიკული საშუალებები მას არ ეკუთვნოდა, და მისი მეგობრები, რომლებიც ესწრებოდნენ მომჩივნის დაკავებას, ამტკიცებდნენ, რომ მომჩივნის ჩხრეკა არ მომხდარა მისი დაკავებისთანავე. ამის საპასუხოდ, მთავრობა დავობდა, რომ ჩხრეკას ესწრებოდა ორი დამოუკიდებელი მოწმე, რომლებიც იმ დროისთვის მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად,

წარმოადგენდნენ საგამომიებო მოქმედების დამოუკიდებელ დამკვირვებლებს და გარანტიას, პოლიციის მხრიდან შესაძლო უფლებამოსილების გადამეტების წინააღმდეგ (იხილეთ პარაგრაფი 37 ზემოთ; ასევე იხილეთ *Volkova v. Russia* [კომიტეტი], no. 56360/07, § 40, 2017 წლის 13 ივნისი). ორივე მოწმე დაიკითხა სასამართლოში დაცვის მხარის მონაწილეობით, რაც მთავრობის აზრით ხელს უწყობდა იმას, რომ ეროვნულ სასამართლოებს გამოეკვლიათ მომჩივნის ჩხრეკის გარემოებები. სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც სასამართლოში დაიკითხა ბ-ნი უ. ქ. მან შეცვალა წინასასამართლო ჩვენება და განაცხადა, რომ ის არ დასწრებია ჩხრეკას და წინასასამართლო ჩვენება მისცა ზეწოლის ქვეშ (იხილეთ პარაგრაფები 21 და 29 ზემოთ). თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა უბრალოდ დაასკვნეს, რომ მის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება არ იყო დამაჯერებელი და იყო „ალოგიკური“ (იხილეთ პარაგრაფები 26 და 33 ზემოთ).

63. რაც შეეხება მეორე დამსწრეს, ბ-ნ ლ. ც.-ს., მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოცხადებაზე, ის გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოში და დაადასტურა მისი წინასასამართლო ჩვენება (იხილეთ პარაგრაფი 29 ზემოთ). იმ დროისთვის, დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ლ. ც. იყო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი და დაცვის მხარემ სადავო განადა მისი სანდოობა იმ ბრალდებით, რომ ის მოქმედება, როგორც პოლიციის აგენტი და იგი სხვა მრავალ სისხლის სამართლის საქმეზე იყო დამსწრე. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ უბრალოდ უგულბელყო ეს მტკიცებულება და კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენა დამაჯერებლობის საკითხი (იხილეთ პარაგრაფი 33 ზემოთ).

64. ზემოთ ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეუძლია არ დაასკვნას, რომ ორი მოწმის სავარაუდო დასწრებამ მომჩივნის პირად ჩხრეკაზე და მათმა შემდგომმა დაკითხვამ სასამართლოში, ადეკვატურად არ შეუწყო ხელი ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენას.

65. რომ შევაჯამოთ, მოსამართლის ბრძანების არარსებობის პირობებში და პოლიციის თანამშრომლების ზემდგომის მიერ *prima facie* გაცემული არასრულყოფილი უფლებამოსილების მხედველობაში მიღებით, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მოკვლევის მასალა და/ან ოპერატიული ინფორმაცია,

რომელმაც სავარაუდოდ განაპირობა ჩხრეკის ჩატარება, არ იყო მოცემული საქმის მასალებში, და პირად ჩხრეკასთან დაკავშირებით არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ჩხრეკის ჩატარების მეთოდი, ეჭვქვეშ აყენებს მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სანდოობასა და სიზუსტეს (იხილეთ *Lisica*, § 60, და *Zahidov*, § 55, ორივე მითითებულია ზემოთ; განსხვავებისათვის შეადარეთ *Dragoș Ioan Rusu v. Romania*, no. 22767/08, § 54, 2017 წლის 31 ოქტომბერი, და *Prade*, მითითებულია ზემოთ, § 39, სადაც მომჩივნებს არ გაუსაჩივრებიათ მტკიცებულებების სანდოობა და სიზუსტე).

(ii) მიეცა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა, სადავო გაეხადა მტკიცებულების ნამდვილობა და შეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას

66. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მთავრობის არგუმენტზე, რომ ჩხრეკის ჩატარების გარემოებები და მოპოვებული მტკიცებულების სანდოობა სასამართლოს მიერ შესწავლილი იქნა ორ ეტაპზე: პირველად, ჩხრეკის შემდეგ სასამართლოს მიერ მისი შესწავლის და მეორედ, მომჩივნის წინააღმდეგ სასამართლო განხილვის დროს.

67. ეროვნული სასამართლოს მიერ ჩხრეკის კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფორუმი არ იყო მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი, ვინაიდან, შესწავლის პროცედურა არ იყო შეჯიბრებითი და იმ დროისათვის, ჩხრეკის შედეგების კანონიერად ცნობის თაობაზე სასამართლოს დადგენილება არ საჩივრდებოდა (იხილეთ სსსკ-ს 290-ე მუხლის მე-7 ნაწილი, მითითებულია 37-ე პარაგრაფში ზემოთ). სასამართლოს არაფერი დარჩენია გარდა იმისა, დაასკვნას, რომ კანონიერების შემოწმების პროცედურა არსობრივად იყო არაადეკვატური. ერთადერთი რაც მოსამართლეს გადაეცა მომჩივნის პირადი ჩხრეკის ჩატარების *post-factum* ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, იყო პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომლის შ. შ.-ს ხელნაწერი წერილი, რომელიც შეეხებოდა ჩხრეკის გარემოებებს, და ორი დამსწრის ჩვენება, რომლებიც სავარაუდოდ ესწრებოდნენ ჩხრეკას (იხილეთ პარაგრაფები 12 და 13 ზემოთ). მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საწინააღმდეგოდ, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სასამართლოს განსახილველად არ წარედგინა არც გადაუდებელ

გარემოებებში მომჩივნის პირადი ჩხრეკის გადაწყვეტილება და არც პირად ჩხრეკაზე პოლიციის მიერ შედგენილი ოქმი (იხილეთ პარაგრაფი 14 ზემოთ). მოთხოვნისა და დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, სასამართლომ ცნო ჩხრეკა კანონიერად და დაადგინა, რომ ნამდვილად არსებობდა ჩხრეკის ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა და, რომ ადგილი არ ჰქონია სისხლის სამართლის პროცედურების დარღვევას. თუმცა, ეს გადაწყვეტილება არ იყო გამყარებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებით და მასში მითითებული არ იყო მიზეზები (იხილეთ პარაგრაფი 15 ზემოთ).

68. საქმის მასალებიდან დამატებით ირკვევა - და მთავრობას არ წარმოუდგენია საპირისპირო - რომ შემსწავლელ მოსამართლეს არ მიუღია არც მომჩივანთან დაკავშირებული მოკვლევის მასალები რომელიც მოხსენიებულია პოლიციის გადაწყვეტილებაში, რომლის საფუძველზე გაიცა ბრძანება მომჩივნის პირადი ჩხრეკის შესახებ და არც „ოპერატიული ინფორმაცია“, რომელზე დაყრდნობითაც სავარაუდოდ ჩატარდა მომჩივნის პირადი ჩხრეკა (იხილეთ პარაგრაფი 8 ზემოთ). სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი დოკუმენტებისა და/ან ინფორმაციის არარსებობის პირობებში, პოლიციის შესაბამისი გადაწყვეტილების ან პოლიციის ოქმის გარეშე, და თანამშრომელ შ. შ.-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ბუნდოვანების გათვალისწინებით (იხილეთ პარაგრაფი 12 ზემოთ), მოსამართლე არ იმყოფებოდა იმ პოზიციაში, რომ შეეფასებინა, ჩხრეკის განხორციელებამდე შესაბამისი ორგანოების მიერ მომჩივნის წინააღმდეგ არსებული საფუძვლიანი ეჭვის ხარისხი, ან მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩხრეკის ჩატარების გადაუდებლობა და აუცილებლობა (ამასთან დაკავშირებით იხილეთ სსსკ-ს მე-13 მუხლის მე-2 და 290-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, მითითებულია 37-ე პარაგრაფში ზემოთ, ასევე იხილეთ პარაგრაფი 40 ზემოთ).

69. რაც შეეხება მომჩივნის წინააღმდეგ ჩატარებულ სისხლის სამართლის სამართალწარმოებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსთხოვა გაეუქმებინა მისი პირადი ჩხრეკის ოქმი, როგორც ბათილი და არარა (იხილეთ პარაგრაფი 25 ზემოთ), მაგრამ მისი მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა (იხილეთ პარაგრაფი 26 ზემოთ). სააპელაციო სამართალწარმოებისას, მომჩივანმა მკაფიოდ მოითხოვა, რომ სასამართლოს ამოერიცხა მისი პირადი ჩხრეკის ოქმი, როგორც დაუშვებელი მტკიცებულება, ვინაიდან ის შეიცავდა გარკვეული

რაოდენობის პროცედურულ დარღვევასა და ფაქტობრივ შეუსაბამობებს (იხილეთ პარაგრაფები 27 და 31 ზემოთ). პასუხად, სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩხრეკის ჩატარების გადაწყვეტილება სათანადოდ იყო ხელმოწერილი პოლიციის ზემდგომი თანამშრომლის მიერ და შესაბამისად იყო დასაშვები (იხილეთ პარაგრაფი 32 ზემოთ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოკვლევის მასალები და/ან ოპერატიული ინფორმაცია, რომელმაც განაპირობა ჩხრეკის ჩატარება, ხელმისაწვდომი არ იყო პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებისთვის მიწოდებულ საქმის მასალებში.

70. ამასთანავე, სასამართლო ზემოთ მოცემული მსჯელობის შესაბამისად მიიჩნევს (იხილეთ პარაგრაფები 62-64 ზემოთ), რომ მოცემულ საქმეზე დამსწრეთა ჩვენებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, უ. ქ.-ს საპირისპირო ჩვენებები და მის მიერ პოლიციის მხრიდან ზეწოლის ბრალდების გაჟღერების, ასევე, პოლიციასთან კავშირის გამო ლ. ც.-ს ჩვენებების სანდოობის ნაკლებობის საკითხი ეროვნული სასამართლოების მიერ არ განხილულა საკმარისი ხარისხით (იხილეთ, *mutatis mutandis, Jannatov v. Azerbaijan*, no. 32132/07, §§ 76-77, 2014 წლის 31 ივლისი; ასევე იხილეთ *Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine*, no. 42310/04, §§ 276-280, 2011 წლის 21 აპრილი). ყველა ზემოთ აღნიშნული პროცედურული და არსებითი დარღვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორივე საქმის წარმოების პროცესში, ვერ გაბათილდებოდა იმ უბრალო ფაქტით, რომ პოლიციის თანამშრომლები სასამართლოში დაიკითხნენ დაცვის მხარის დასწრებით.

71. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ ეროვნულ დონეზე მომჩივანს არ მიეცა ეფექტური შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა ჩხრეკის ჩატარების გარემოებები და შეწინააღმდეგებოდა შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებას (იხილეთ *Zahidov, მითითებული ზემოთ*, §§ 56-57; შეადარეთ *Prade*, მითითებული ზემოთ, § 38).

(iii საქმის მასალებში არსებული სხვა მტკიცებულებები

72. როდესაც გარკვეული მტკიცებულების სანდოობასთან დაკავშირებით ეჭვები წარმოიშობა, შესაბამისად იზრდება სხვა მტკიცებულებებით მისი გამყარების საჭიროება. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირადი ჩხრეკის ოქმის არარსებობის პირობებში,

თავის მხრივ, საქმის მასალებში არსებული არცერთი სხვა მტკიცებულება არ იყო საკმარისად მყარი (შეადარეთ *Dragoș Ioan Rusu*, მითითებული ზემოთ, §55). როგორც ზემოთ უკვე არის შეჯამებული, დამსწრეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არ იყო სარწმუნო, ვინაიდან პირველი დამსწრის ჩვენება იყო წინააღმდეგობრივი ხასიათის, ხოლო მეორე დამსწრის ჩვენება ნაკლებად სანდო, რაც სათანადოდ წამოიჭრა, თუმცა არ მომხდარა მისი განხილვა. პოლიციის თანამშრომლებთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს პირები თავიდანვე იყვნენ წყარო მომჩივნის წინააღმდეგ დაწყებული საქმის წარმოების და მიეკუთვნებოდნენ იმ უწყებას, რომელმაც დაიწყო სამართალწარმოება, ამგვარად, ისინი დაინტერესებული იყვნენ სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგით. მათი ინტერესი განსაკუთრებით აშკარა იყო მომჩივნის ბრალდების გათვალისწინებით, რომ პოლიციელებმა მას ნარკოტიკები ჩაუდეს. მიუხედავად ამისა, მათი ჩვენება ავტომატურად ობიექტურად იქნა მიჩნეული, განსხვავებით, მაგალითად, მომჩივნის მეგობრების ჩვენებისაგან, რომელიც უარყოფილი იქნა სუბიექტურობისა და არასანდოობის საფუძველით (იხილეთ პარაგრაფი 26 ზემოთ). სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციის თანამშრომლების ჩვენებები წინააღმდეგობაში მოდიოდა მოსამართლის ბრძანების გარეშე მომჩივნის ჩხრეკის თაობაზე დადგენილებასთან (იხილეთ პარაგრაფი 61 ზემოთ). თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა უბრალოდ უგულვებელყვეს ეს შეუსაბამობა.

(iv) დასკვნა

73. სასამართლო ადგენს, რომ მეთოდი, რომელიც გამოყენებული იქნა მომჩივნის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების მოსაპოვებლად, წარმოშობს ეჭვებს ამ მეთოდის სანდოობისა და სიზუსტესთან მიმართებით. აღნიშნული მტკიცებულების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ კუმულაციურად, მომჩივნის პირადი ჩხრეკის პროცედურულმა დარღვევებმა, ჩხრეკის გარემოებებთან დაკავშირებით არსებულმა წინააღმდეგობრივმა და არათანმიმდევრულმა მტკიცებულებებმა, არაადეკვატურმა სასამართლო განხილვამ, საქმის განხილვამდე და განხილვის ეტაპზე, რაც მოიცავდა ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივნის ბრალდებების არასაკმარისად გამოკვლევას იმასთან

დაკავშირებით, რომ ნარკოტიკი მას არ ეკუთვნოდა და გამამყარებელი მტკიცებულების სისუსტემ, მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოება მთლიანობაში აქცია უსამართლოდ. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

II. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

74. მომჩივანი კონვენციის მე-5 მუხლის საფუძველზე აცხადებდა, რომ მისი დაკავების დროს არ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი იმაზე, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე მან განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა უზენაეს სასამართლოზე წვდომის საშუალება, რადგან ამ უკანასკნელმა თავისი გადაწყვეტილებით დაუშვებლად ცნო მომჩივნის საკასაციო საჩივარი. ის ასევე აცხადებდა, რომ მისი პირადი ჩხრეკა ჩატარდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით.

75. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობა დასრულდა მის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით 2005 წლის 18 აპრილს, ხოლო წინამდებარე საჩივარი სასამართლოში შეტანილი იქნა 2006 წლის 21 აგვისტოს. შესაბამისად, მომჩივნის მიერ კონვენციის მე-5 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი მისი დაკავების საფუძვლიანი ეჭვის არარსებობის შესახებ მიუღებელია ვადის გასვლის გამო, კონვენციის 35-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

76. კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე გაკეთებულ საჩივართან დაკავშირებით, რომ მომჩივანს უარი ეთქვა უზენაესი სასამართლოს მიმართ წვდომაზე, სასამართლო განმეორებით აცხადებს, რომ იგივე საკითხი უკვე შესწავლილი იქნა საქართველოს საპროცესო კანონის და პრაქტიკის ფარგლებში და დადგინდა, მსგავს გარემოებებში, კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილთან სრული შესაბამისობა (იხილეთ *Kuparadze v. Georgia*, no. 30743/09, §§ 75-77, 2017 წლის 21 სექტემბერი; და შეადარეთ, *mutatis mutandis, Tchaghiashvili v. Georgia* (განჩინება), no. 19312/07, § 34, 2014 წლის 2 სექტემბერი). შესაბამისად, სასამართლო აცხადებს, რომ წინამდებარე პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელია კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (a) და მე-4 პუნქტების თანახმად.

77. რაც შეეხება, კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე მომჩივნის პრეტენზიას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს ეროვნული საქმისწარმოების დროს არ განუცხადებია, რომ მისმა პირადმა ჩხრეკამ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლებები. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, რომ სასამართლოს წინაშე წარსადგენი მოთხოვნები, უნდა დაფიქსირდეს შესაბამის ეროვნულ ორგანოებში სულ მცირე იმ შინაარსისა და ოფიციალური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით (იხილეთ, სხვებს შორის, *Aksoy v. Turkey*, 1996 წლის 18 დეკემბერი, §§ 51-52, *Reports of Judgments and Decisions 1996-VI*). აქედან გამომდინარე, სასამართლო უარყოფს მომჩივნის პრეტენზიას შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოუწურაობის გამო, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

78. კონვენციის 41-ე მუხლი განსაზღვრავს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

79. მომჩივანმა განაცხადა, რომ მისი უკანონო მსჯავრდების გამო დაკარგული შემოსავლის სახით მას მიადგა მატერიალური ზიანი. მან განაცხადა, რომ მოცემული მომენტისთვის მას ჰქონდა დროებითი სამუშაოები და თვეში გამოიმუშავებდა დაახლოებით 150 ევროს. ამის შემდეგ მან მოითხოვა 40,000 ევრო მორალური ზიანისთვის, რომელიც მას მიადგა უკანონო მსჯავრდებისა და პატიმრობით გამოწვეული სტრესისა და ტანჯვის შედეგად.

80. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის მიერ მოთხოვნილი მატერიალური ზიანი დაუსაბუთებელი იყო. გარდა იმისა, რომ მომჩივანმა ვერ წარმოადგინა დასაქმებისა და შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტები, მან ვერ დაასაბუთა

მოთხოვნილ ზიანსა და სავარაუდო დარღვევას შორის არსებული კავშირი. მორალურ ზიანთან მიმართებით, მთავრობამ უარყო მოთხოვნა, როგორც უსაფუძვლო და გადაჭარბებული. სანაცვლოდ, მთავრობამ განაცხადა, რომ თავად დარღვევის დადგენა წარმოადგენდა მომჩივნის მიერ განცდილი ნებისმიერი მორალური ზიანის საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას.

81. სასამართლო ვერ ხედავს კავშირს დადგენილ დარღვევასა და განცდილ მატერიალურ ზიანს შორის; შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მოთხოვნას. მორალურ ზიანთან მიმართებით, სამართლიან საწყისებზე დაყრდნობით, სასამართლო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მომჩივანს აკუთვნებს 3,500 ევროს, დამატებული ყველა ის გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაეკისროს ამ თანხას.

B. სასამართლოს ხარჯები

82. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 2,125 ევრო და 1,825 ევრო ქ-ნი ლ. მუხაშავერიასა და ბ-ნი ვ. ვახტანგიძის (იხილეთ პარაგრაფი 5 ზემოთ) მიერ გაწეული სასამართლო წარმომადგენლობის ხარჯების ასანაზღაურებლად. მოცემული თანხები დაანგარიშებული იქნა ორი ადვოკატის მიერ საქმეზე დახარჯული საათების რაოდენობისა და საათობრივი ანაზღაურების ტარიფების მიხედვით, რაც შეადგენდა 50 ევროს საათში. მომჩივანს არ წარმოუდგენია იურიდიული ან ფინანსური დოკუმენტი, გარდა დეტალური დროის აღრიცხვისა, რომელიც განსაზღვრავდა ასანაზღაურებელ საათებს, თარიღებითა და გაწეული იურიდიული მომსახურების ზუსტი სახეებით.

83. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანმა ვერ წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ხარჯების რეალურად გაწევას. მან ასევე განაცხადა, რომ მოთხოვნილი თანხა ნებისმიერ შემთხვევაში გადაჭარბებული იყო.

84. სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მომჩივანი უფლებამოსილია მიიღოს ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაჩვენებია, რომ ისინი გაწეულია რეალურად და საჭიროებისამებრ და არის გონივრული ოდენობის. წარმომადგენლის საფასური ითვლება ფაქტობრივად გაწეულ ხარჯად, თუ მომჩივანმა გაიღო ეს ხარჯები, ან ვალდებულია გაიღოს ისინი. შესაბამისად, იმ წარმომადგენლის

ხარჯები, რომელიც მოქმედებს ანაზღაურების გარეშე, ფაქტობრივად გაწეულად არ ითვლება (იხილეთ *McCann and Others v. the United Kingdom*, 1995 წლის 27 სექტემბერი, § 221, Series A no. 324). საწინააღმდეგო შემთხვევასთან გვაქვს საქმე იმ წარმომადგენლის საფასურთან მიმართებით, რომელმაც, მასზე უარის თქმის გარეშე, უბრალოდ არ გადადგა ნაბიჯები, რათა მოეთხოვა მისი გადახადა ან მოახდინა მისი გადავადება. წარმომადგენლისთვის გადახდილი საფასური, პირობითი ჰონორარის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, ფაქტობრივად გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეთანხმება აღსრულებადია შესაბამის იურისდიქციაში (იხილეთ *Merabishvili v. Georgia* [დიდი პალატა], no. 72508/13, § 371, 2017 წლის 28 ნოემბერი, სხვა მითითებებთან ერთად).

85. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია იურიდიული ან ფინანსური დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებდა, რომ მან გადაიხადა, ან ჰქონდა იურიდიული ვალდებულება, გადაეხადა მის მიერ სასამართლოს წინაშე სავარაუდოდ გაწეული ხარჯები. ასეთი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო ვერ პოულობს საფუძველს, რის მიხედვითაც იგი მიიჩნევს, რომ მომჩივნის მიერ მოთხოვნილი ხარჯები ნამდვილად იქნა გაწეული მის მიერ. აქედან გამომდინარე, მოთხოვნა უნდა იქნას უარყოფილი.

C. საურავი

86. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საურავის განაკვეთი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ამ მოტივით, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს მისაღებად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე წარდგენილ საჩივარს, მომჩივნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების სავარაუდო უსამართლობასთან დაკავშირებით, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილს აცხადებს მიუღებლად;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი;

3. ადგენს

(a) რომ, მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში, მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით, მომჩივანს გადაუხადოს 3,500 ევრო (სამი ათას ხუთასი ევრო) მორალური ზიანისთვის, რასაც დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რაც შესაძლოა დაეკისროს მომჩივანს;

(b) რომ, ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

4. უარყოფს, მომჩივნის პრეტენზიებს სამართლიანი დაკმაყოფილების დანარჩენ ნაწილში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს წერილობით ეცნობათ 2019 წლის 14 მარტს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

კლაუდია ვესტერდიკი
განმწესრიგებელი

ანგელიკა ნუსბერგერი
თავმჯდომარე